№ 59 21 მარტი, სამშაბათი 1866—1878 21 მარტი, სამშაბათი № 59

ᲧᲚᲔᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадловის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის; Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲡ — 8 მან., ნახევარ ᲬᲚᲘᲡ — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის ცისფერთი — 5 კაპ., პატარა — 4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს დ. შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის Телеграфный Агентство)

ᲕᲔᲜᲐ, 17 (29) მარტს. „Голосъ"-ᲚᲘᲡ დეპეშა: Ოსმალეთის სამინისტროს კრებაში იყო გაცხარებული ბაასი ორ პარტიას შუა, რომელთაგან ეროს რუსეთის მხარე ეჭირა და მეორეს Ინგლისისა. რუსეთის მომხრე პარტიამ გაიმარჯვა; ამის გამო Ინგლისის მომხრე Აჰმედ-ᲕᲔᲔᲤᲘᲫ-ᲤᲐᲨᲐ იძულებული შეიქნა, რომ სამინისტრომ გამოსულიყო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 17 (29) მარტს. „Daily Telegraph"-ში იწერებიან: Დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაბრუნდა გუშინ სან-სტეფანოში.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 17 (29) მ.რტს. ლონდონის გაზეთს „Standard"-ს მოუვიდა შემდეგი ტელეგრამა: ნელიდოვმა გაუგზავნა Ოსმალეთის მმართველობას ნოტა, რომელშიაც მოსთხოვა, რომ Ინგლისის ფლოტი გაისტუმრონ სტამბოლიდამ. საფეტ-ფაშამ ეს ნოტა Ინგლისის ელჩს ლეიარდს გარდასცა. ლეიარდმა, თავის მმართველობისაგან მიღებულის ბრძანების ძალით, უპასუხა: ბრიტანიის ფლოტი დარჩება იქ, სანამ ახლა დგას, სანამ რუსები სტამბოლის ახლომახლოა ალაგებიდამ არ გაიყვანენ თავის ჯარებს. Ოსმალეთის მთავრობამ ხელუხლებელად გაუგზავნა ნელიდოვს ეს პასუხი ლეიარდისა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 16 (28) მარტს. „Петер. Вѣдом."-ში დაბეჭდილი დეპეშა: Დღეს გაისტუმრეს Ოდესისაკენ ლეიტენანტი პუჩინი. Დიდმა მთავარმა ის და იმის კამანდა დააჯილდოვა ბრილიანტის ჯვრით.

ᲕᲔᲜᲐ, 18 (30) მარტს. „Новое Время"-ს ტელეგრამმა: რუსეთსა და Ინგლისს შუა ომი აუცილებელია.

ᲕᲔᲜᲐ, 18 (30) მარტს. ბერმანიის ზედამოქმედების გამო Ინგლისზედ, შეიძლება, რომ ომი აღარ მოხდეს. Მშვიდობიანობის ჩამოგდების იმედი აქვთ.

Იგნატიევის სიტყვით, ავსტრიას ბევრი რამ უნდა; ის თხოულობს, რომ მთელი პირობა სან-სტეფანოს მორიგებისა შეიცვალოს. ავსტრიას უნდა, რომ ხსენებულს პირობაში დადგენილი სამზღვრები ბოლგარიისა, ჩერნოგორიისა და სერბიისა შეიცვალოს და იმედი აქვს, რომ რუსეთი ყველა იმის მოთხოვნილებას აუსრულებს.

ლეიტენანტი პუჩინი ოდესაში მოვიდა; აქედამ ნიკოლაევში მიდის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Გუშინწინ, შაბათს, გაუჩნდა ცეცხლი Არსენალს და მეორე დღის შუადღემდინ იწვოდა. რაც ფიცრული ნაწილები ჰქონდა, სულ ერთიანად დაიწვა. Არსენალში გამართულია წყლის ამოსაწვევი მაშინა, რომელზედაც, როგორც გვითხრეს, წელიწადში რამდენიმე ათასი მანეთი იხარჯებაო; ამ მაშინის წყალმა ვერა უშველა-რა ცეცხლის დაქრობას; ვერ უშველეს აგრეთვე ვერც თულუხჩებმა, რომელნიც თიბილისის მთელი Თფილისიდამ იქ მირეკეს ასე, რომ შაბათს ძალაქი უწყლოთ დარჩა.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ადრინდელი ეგზარხოსი საქართველოისა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელო Ეკვეთი გუშინ, კვირას წავიდა ქალაქიდამო. Ის კვირაში ის უკანასკნელად ყოფილა ჩვენს სასულიერო სემინარიაში, მოუკოვებია შაგირდები და გრძნობით საეს გამოსათხოვარი სიტყვა უთქვამს იმათთვის. Უფროსი კლასის შაგირდებისათვის მისს მაღალ-ყოველად-უსამღვდელოებას შემდეგის სიტყვით მიუმართავს:

„Თქვენ მალე გაათავებთ სწავლას და შეხვალთ ცხოვრებაში. Ბახსოვდეთ: ცუდი არაფერი ილაპარაკოთ თქვენს აღმზრდელ სემინარიაზედ.. Რასაკვირველია, ყოველივე რიგიანათ და წესიერად არ

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲨᲕᲘᲚᲓ-ᲘᲡᲠᲘᲗ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ

(ᲭᲣᲗᲐᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ)

Ბაზაფხულმა ცალი თვალი გაეკეტა. Ოთხი თვის ჩვენი ბაღის ფანახველს საშინლათ, მინდა იქ გასეირნება. Მინდა იქ თბილს მზიან ტაროსში ჩიტების ჭიკჭიკით დამტკბარმა ოცნებას მივსცე თავი.

Მივდივარ გულ-და-გულ, მაგრამ რა! Რომ არავინ მაყენებს? ხან ერთს გადავეყარე, ხან მეორეს და ყველასთან გამიგრძელდა ლაპარაკი. Ღმერთო ჩემო! Რა უნდათ ჩემთან? Ყველა თავის დარდებს მეუბნება, თავის საქმეს ჰსჩივის, და ჩემსას კი ალარა ჰკითხულობენ!

— Თქვენ ჰბძანდებით მონადირე მშვილდ-ისრიანი? მკითხავს ერთი.

— Ბახლავარ თქვენი უმორსილესი მონა! მუპასუხებ მე და მინდა მომშორდეს; ამისათვის პირს ვშვრები განზე, მაგრამ არ მეშვება მაინც.

— Ბატონო, საიდამ მობძანდები?

— Არზრუმიდან, ეუპასუხე მე.

— Სად მიდიხარ?

— Იმერეთში.

— შვილდი რისი გაქვს?

— Არყის ხის.

— Ისარი?

— Აკაკლის.

— Ვის ესვრი?

— Ადვოკატს.

— Ვის მოუტან ნანადირევს?

— Ადვოკატს მივართმევ.

— Რას გაჩუქებს?

— Ჩუქების რა მოგახსენო! Მაჩუქებს კი არა, გაჯავრდება კიდეც. Იმათ გაჩუქება თავის დღეში არ ჰსწერებიათ ლექსიკონში. Იმათი საქმეა მარტო „მომეცი და არაფერი მოგეცი!"

Უცებ ჩემი მოსაუბრე ხელზე მეტაკება, დამიჭერს მაგრათ და მკითხავს:

— Როგორ? Თქვენც იცნობთ ადვოკატ? Მე შეგონა, თუ ჩემს მეტი ვერავინ იცნობდა მას.

— Ეი ვიცნობ... Როგორ? Რა ამბავია?

— Ძრიელ ცუდი!... Დიახ!.. Ამ რამდენიმე თვის წინეთ ერთი ჩვენებური ყმაწვილი გამობძანდა ადვოკატურ ასპარეზზე. ხომ მოგეხსენებათ: „Ახალი ცოცხი კარგათ ჰკვესო"? Მართალია. Ეს ყმაწვილი სანთლით დაეძებდა კლიენტებს; საჯუსალოში დადიოდა და ტუსაღებს წინადადებას აძლევდა, ის აეყვანათ დამცველათ, რადგანაც ის უფასოთ დაიცავდა ბათ, იმათ გვარ დაჩაგრულ კაცს ყოველთვის შემწეობას მიჰსცემს. Ამავე დროს ეს ყმაწვილი მეც დამიახლოვდა, ჩემთანაც მოინდომა საქმის გაწყობა. „Რადგანაც შენ აქ ნამყოფი კაცი ხარ და ბევრს იცნობ იმისთანაებს, რომელთაც საქმეებში ადვოკატი დაჰსჭირდებათ, ამისათვის დავამხანაგდეთ: შენ საქმეებს მიშოვნი, მე მათ გავაკეთებ და მოგება

— Როგორ? Თქვენც იცნობთ ადვოკატ? Მე შეგონა, თუ ჩემს მეტი ვერავინ იცნობდა მას.

— Ეი ვიცნობ... Როგორ? Რა ამბავია?

— Ძრიელ ცუდი!... Დიახ!.. Ამ რამდენიმე თვის წინეთ ერთი ჩვენებური ყმაწვილი გამობძანდა ადვოკატურ ასპარეზზე. ხომ მოგეხსენებათ: „Ახალი ცოცხი კარგათ ჰკვესო"? Მართალია. Ეს ყმაწვილი სანთლით დაეძებდა კლიენტებს; საჯუსალოში დადიოდა და ტუსაღებს წინადადებას აძლევდა, ის აეყვანათ დამცველათ, რადგანაც ის უფასოთ დაიცავდა ბათ, იმათ გვარ დაჩაგრულ კაცს ყოველთვის შემწეობას მიჰსცემს. Ამავე დროს ეს ყმაწვილი მეც დამიახლოვდა, ჩემთანაც მოინდომა საქმის გაწყობა. „Რადგანაც შენ აქ ნამყოფი კაცი ხარ და ბევრს იცნობ იმისთანაებს, რომელთაც საქმეებში ადვოკატი დაჰსჭირდებათ, ამისათვის დავამხანაგდეთ: შენ საქმეებს მიშოვნი, მე მათ გავაკეთებ და მოგება

მიდიოდა ამ სემინარიაში; მაგრამ მაინც არ არის რიგი, რომ თქვენ იგი აგინოთ. მე ძალიან მიამება, როდესაც გავიგებ, რომ თქვენ კარგი რამე თქვით სემინარიაზე და ცუდის თქმა კი შემაწუხებს...“

*** იმისთანა გაგიქებული ქარი, როგორიც გასული კვირის პარასკევს და შაბათს იყო ქალაქში, დიდი ხანია არ გვინახავს. დიდი ზიანი მისცა ამ ქარმა ქალაქს: ბევრი სახლების ძველი სახურავები აიგლიჯა, უანგარიშო ფანჯრები და კარები ჩაამტვრია; წეთხაინის ეკკლესიის ჯვარი მოაძრო და სადღაც გადაკარგა. საშინელის მტვერისაგან ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა და ვინც გამოდიოდა, თვალები მტვრით ევსებოდა.

ამ ქარის წყალობით გაჩნდა ცეცხლი არსენალში, რომელიც, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, კიდეც დაიწვა. ქარგი ბედი კიდეე, რომ ამ სამი დღის განმავალობაში თვითონ ქალაქში არ გაჩენილა ცეცხლი, თორე შენს მტერს ვერაფერი ველარ გააჩერებდა იმას; მე გეტყვი შენ, ჩვენი ჩინებული პაქარის ამანდა დააქრობდა...

*** „თფილისის მოამბეში“ იწერებიან ქახეთიდამ, რომ ხელოსანი ლეკები მოდიან მთებიდამ ქახეთში და მუშაობას ეძებენო.

ამავე გაზეთის სიტყვით, თამბაქოს მოყვანა ისეთ ნაირად თან-და-თან ვრცელდება სიღნაღის უეზდში, რომ თუ შემდეგშიაც ასე წავიდა ეს წარმოება, შესაძლებელიაო, რომ მარტო ამ უეზდში იმდენი თამბაქო მოვიდეს მუდამ წელს, რომ მთელს ქავკასიის მხარეს ეყოსო.

ომის ამბები

ომის შემდეგ

გაზეთს „Indépen. Belge“-ში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც იწერებიან:

„ამ დღეებში აქაურ ინგლისის ელჩს ლეიარდს გამოეცხადა ქავკასიიდამ გადმოსახლებული ჩერქესების დეპუტაცია, რომლის მოთავეემ იბრაგიმ-ბეიმ, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებით მიმართა ხსენებულ ელჩს:

„—როცა ქავკასიიდამ გადმოვდიოდით, ინგლისმა შეწევნა და დახმარება აღგვითქვა. მართლაც, მაშინ ოსმალეთმა დაგვითმო ჩვენ ნაყოფიერი, კარგი მიწები რუმელიაში და აზიაში—იზმიდის, ბრუსსისა და ტრაპიზონის ახლო-მახლო მხარეებში. ახლა კი გვყრიან იმ ალაგებიდამ და ასე უმადურათ რჩებიან იმ შეწევნისათვის, რომელიც ჩვენ აღმოუჩინეთ ოსმალებს ამ ომის განმავალობაში.“

თუ ამ საქმეში დაგვეხმარებითო, უთხრა თურმე დეპუტაციამ ლეიარდს, ჩერქესები სამაგიეროს გადაუხდიან ინგლისსაო.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ ლეიარდმა მიიღო მხედველობაშიო, რომ ჩერქესებიდამ, დაჭირების დროს, უკანასკნელი 100,000 მეომარის გამოყვანა შეიძლებაო, და ამის გამო დაჰპირდა დეპუტაციასაო, რომ ინგლისი იშუამდგომლებსო, რომ ოსმალეთის მთავრობამ არავითარი შეწუხება არ მიაყენოს იმათაო.

—

გამოვიდა ხონთქრის ბრძანება, რომ შუაზე გავიყოთო“. ეს სიტყვები დამიჯდა: მეც ვიფიქრე, რომ ახალს კაცს ხელის მოწყობა უნდა; ახალ კაცს, რომელიც საწყლებისადმი გულ-მტკივნეულებას იჩენს, დახმარება უნდა-მეთქი, და დავეთანხმე. როდესაც ხუთი ათასი მანეთი იშოვნა ამნაირათ, ვფიქრობდი, რომ ნახევარი ჩემია-მეთქი; მაგრამ არ მოგეცეს ჭირი, ეს აღარ გამართლდა: იმ კაი კაცმა ნახევარს მრთელი არჩია თავისთვის. ეთქვათ ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართველსაც ჰკოდნია ფულის დაფასება, მაგრამ მე რა ვქნა? ჩემი რა ბრალია? მეც ქართველი ვარ, არც მე ჩამორჩები სომხებს ფულის ანგარიშში. ახლა, როდესაც ამნაირათ ხელი მოითბო, ვიღას ახსოვს ან ტუსაღები და ან პირობა! ახლა უპირსანახოთ ძნელია მისი ნახვა, როგორც მზით-უნახავისა. ახლა თურმე ერთი კარგი თვისება გამოუჩენია კიდეე: ერთი მხრის საქმეს რომ იღებს, მეორესაც ეჩურჩულება და მეგობრობს; წინააღმდეგი მხრის დამცველი რომ არის, ეს იმას სრულიათ არ უქვევებს გულს თურმე და არ ჰხდის თავის ვალდებულების სასტიკ დამცველათ. სწორეთ ქრისტეს მცნებაზე მოქცეულა. „მტრებიც გიყვარდესო!“ ბევრი მაქვს სათქმელი, უ. შვილდ-ისრიანო, თუ...“

ამ დროს ჩამიარა გვერდით ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელიც მეტის-მეტათ აღელვებული იყო რაღაცაზედ, და მითხრა:

— აქ მო, აქ მო ჩემთან, რა ამბავი გითხრა! თუ შენ კეთილშობილ კაცებში ურევიხარ, ახლავე გავიგებ.“

რადგანაც კეთილშობილობა სახუმრო საქმე არ არის, რადგანაც ამისთანა მგრძნობიარე მხარეს შეეხო ჩემი ნაცნობი, მეტი ღონე აღარ მქონდა, უნდა გავყოლოდი, უნდა მიმეტოვებია ადვოკატის ისტორია და მისთვის მომესმინა.

— შენ იცი, რომ კეთილშობილთ საზოგადოებას აქ ერთი ადგილი აქვს არჩეული თავის კრებებისათვის, რომელთაც მიზნათა აქვსთ მხიარულათ დრო გაატარებინოს თავის წევრებს ქალალდის თამაშობით, ბილიარდზე თამაშით, ცეკვით და სხვით. იმოდენათ დაწაფებულნი არიან ამ დროს გატარებაზე, რომ ხანდისხან დილამდის უძილობისაკან თავგარეტიანებულები და თვალებ გამოშტერებულები ჰბრუნდებიან სახლში. ჭრანს რომ დიდ კმაყოფილებას ჰპოულობენ ამაში. ჩვენ გვინდოდა წმინდათ შეგვენახა ჩვენი კრებები, ჩვენ გვინდოდა იქ მარტო გამოჩენილ კაცებს ევლოთ და მათ ცოლებს და არა უჩინოებს; ჩვენი სურვილი იყო თანასწორები ვიყოთ შეკრებილნი ჩინით, შთამომავლობით, სიმდიდრით, რომ ბრწყინვალება ბრწყინვალებას შეხვდეს, შთამომავლობის სისხლი შთამომავლობას და საკეთილშობილო საქმე საკეთილშობილოს, და არა კეთილშობილთათვის უკადრისს, მდაბალ საქმეს. წარმოიდგინე ჩვენი განკვირვება! ბუშინწინ ვიღაც მკერავალი ქალი შემობძანდა ჩვენ კრებაში და მოინდომა ჩვენ ცოლებთან ერთ სახლში დროს გატარება... ოხ, გაფუჭებულო დროვ!... დემოკრატობაა უშვერი!... მოინდომა მისი ნანემსარი ხელების დადარება ჩვენ ქალების ხელებთან, რომელთაც სისუფთავე და სითეთრე არა ერთ კოცნას გამოიწვევს ხოლმე. მან მოინდომა თავის ტანადობის დადარება ჩვენ ქალების ტანადობასთან, რომლის ანდამანტური მიმზიდველობა იქამდის მიახწევს, რომ მარტო კეთილშობილებს შეუძლიანთ წყალი ასვან მისს შემხედვარე თვალებსაც

რი საქმეები კარგათ იცისო, და ამან დამარწმუნაო, რომ ინგლისს გადაწყვეტილი აქვს რუსეთთან ომის გამოცხადებაო. მთელი ინგლისი აღელვებული არის ახლაო, ყველა მოუთმენელად მოელის რუსეთთან ბრძოლის დაწყებას, რადგან ამ საშუალობით ერთის მხრით თავიანთ თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას მოელიან და მეორეს მხრით ხელახლად თანაგრძნობის მოპოვებას ოსმალეთის და თავის საკუთარ (ინდოეთის) მაჰმადიანებში.

—

ამავე გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ყურადღების ღირსი ამბები:

„რუსეთი აზიაში ემზადება ინგლისთან შეტაკებას. ამიტომაც რუსეთი ცდილობს, რომ მაჰმადიანთ სახელმწიფოები თავისკენ მოიმხროს. ნამდვილად ამბობენ, რომ იმან შეჰკრა ოსმალეთთან საიდუმლო პირობაო, რომლის ძალით 100,000 კაცი უნდა წარუდგინოს აზიაში, თუ რუსეთს დასჭირდება.

„ამ დროსვე თფილისში იყო მოლაპარაკება სპარსეთის შაჰის ძმასთან პრინც ბაჰმეტთან, რომელიც ამ ჟამად იქ არის. ამბობენ, ამ მოლაპარაკების ძალით, რუსეთი და სპარსეთი დაკავშირებული არიან და, თუ ომი მოხდა, სპარსეთი რაშიც საჭირო იქნება, უნდა დეხმაროს რუსეთს.

„ამას გარდა რუსეთმა მოიმხრო რამდენიმე ხანები საშუალ აზიისა; ზოგიერთებთან ახლაცა აქვს მოლაპარაკება.

„ამნაირად რუსეთს გადაწყვეტილი აქვს, რომ მხოლოთ აზიაში შეებას ინგლისს; ევროპაში კი მარტო იმას ეცდება, რომ ინგლისის ჯარი თავის ქვეყანაში არ შემოუშვას და ქალაქები არ ააოხრებინოს.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ფოთი, 17 მარტს. ამ სამის დღის წინათ ძლივს ველირსეთ, მზე დაეინახეთ; ორი დღე რიგიანი, თბილი და ბრწყინვალე დღეები იყო. მცხოვრებლებს გაუხარდათ,გამოეფინნენ გაზაფხულის სუმბუქის ტანისამოსითა და თბილის ჰაერით სიამოვნობდნენ.

მაგრამ მალე დაამწარა ყვილასა: გუშინ ამოვარდა აღმოსავლეთის ქარი და ნელნელა ძრიელდებოდა; შუადღემდის იქროლა, და მერე უცებ ჩადგა და ამოვარდა ზღვის ქარი, ისეთ ნაირათ ქრიდა რომ კაცს ცის ჭექა- ქუხილთ ეგონებოდა ისეთნაირად რიონი ააღელვა და ააშფოთა რომ, ზღვის მზგავსათ ტალღას ისროდა და ღრიალებდა; რიონის პარახოდები და ბარჯები ისე ირყეოდნენ, როგორც ზღვის ღელვაში, სანდლები და ნავები ხომ რაღა სათქმელია, არ იცოდნენ თავი სად შეეფარებინათ; ისე გლეჯდა და ასხამდა ქარი წყალს რიონის ნაპირებზედ, რომ კაცს ნამდვილი წვიმა ეგონებოდა.

ესრე იქროლა დღეს საღამომდის, მერე ნელა უკლო და ჩადგა. მაგრამ, სანამ მსხვერპლი არ შეიწირა ჩვეულებრივ, მანამ არ გაჩერდა: დღეს თორმეტს საათზედ ერთი ქერჩელი ბერძნის ცარიელი გემი გამოაგდო „სპასიტელნი სტანციის“ მახლობლად; გემი წაქცეულა ზურგზედ, ყველა მატროსები ამ დროს წყალში ჩაცვივნულიყვნენ; ბანაკიდამ ყაზახებს დაენახავთ იმათი საცოდავობა და მაშინვე ცხენებით მიშველებიან და ყველანი გადურჩენიათ, მხოლოდ ერთი კი დამღრჩვალა და ველარც უნახავთ. ეს მეორეთ არის რომ ყაზახები დაღუპული ხალხს ესე ეხმარებიან; თუ ესენი არ

ყოფილიყვნენ, უეჭველია, ყველანი დაიხრჩობოდნენ...

ნუ გაკვირთ, რომ ფოთადამსულ ამ ნაირ ამბებს ვიწერებით. რა ვქნათ, ჯერ ფოთში ახლა ახალი ამბავი არა არის-რა. რაც ფოთის ნაპირზედ გემები დაღუპულა, ფოთში იმდენი სახლი არ აშენებულა და სანდალი და ნავი ხომ იმდენი დაღუპულა, რომ ფოთში იმდენი ბაყაყი არ იქნება!. ქარგი დაემართოსთ, ქარგი ნავსადგური ფოთია. როდის იქნება ბუხტა აშენდეს (?) და მუდამ ამისთანა უბედურებას გადარჩეს კაცი...

ე. ბ.

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ყველა ინგლისური გაზეთები ერთხმად ჰკიცხავენ რუსეთსა და ოსმალეთს შუა შეკრულს მორიგების პირობებს. განსაკურებით გაცხარებული არიან სამინისტროს მომხრე გაზეთები: „სტანდარ“ და „დაილი ტელეგრაფ“ ამბობენ, რომ ეს პირობა დაცინება არის მთელი ევროპისაო, ევროპა თავის დღეში არ დათანხმდება, რომ რუსეთმა ამ ნაირად გადაატრიალოს ოსმალეთის და მასთან მთელი ევროპის მდგომარეობაო. აუცილებელად საჭიროაო, რომ ევროპამ და განსაკუთრებით ინგლისმა სრულებით გამოაცალევინოს რუსეთს ეს პირობები დიპლომატიურის გზითა და თუ ამ გზით ვერა გარიგდა-რა, მერე სხვა, უფრო ენერგიული საშუალება უნდა ვიხმაროთო. თითქმის ამგვარისავე კილოთი ლაპარაკობენ ისეთი ინგლისური გაზეთები, რომელნიც ადრე რუსეთს თანაუგრძნობდნენ.

და გულებსაც. მაგრამ მოგეცა სიცოცხლე იმ ღამინდელმა ჩვენმა გამგებელმა ის მკერვალი კარში გამოისტუმრა, გამოაბუზუტა, თუმც გამოსაბუზურებელმა ბევრი იძახა, რომ „მეც აზნაურის და კეთილშობილის ცოლი ვარო; ემკერვალობა კი, მაგრამ პატიოსანის შრომით და ჩემის ოფლით ვირჩენ თავსაო, და არა ისე, როგორც ბევრი თქვ...“ არც კი დაჰაცლია სიტყვის დამთავრება იმ ტუტუცს. მაგრამ მაინც უკმაყოფილოთა ვარ. ვინ გაჰბედა, ვინ ჩვენი აღელვება! ნეტავი ჩვენი ტოლი მაინც იყოს ვინმე!.. ჰა? რას იტყვი შენ ამაზე?

—დიდათ თანამგრძნობელი ვარ კეთილშობილების და მეტი რაღა მეთქმება, რაც შენ არა ჰსთქვი?—მიუგე მე. მაგრამ მაგას გარდა სხვაცა გაქვსთ სადარდელი. ეს ოხერი ტელეგრამები რომ დღეში ორჯერ-სამჯერ გადუტრიალებენ ხოლმე ბევრს კაცს გულს რა არი! ქარგათ იცი, ბევრი კაცია ჩვენში, რომელთაც მცნებათ თავისათვის დაუდვიათ: „ვის შერჩენია სოფელი, მამაძაღლი და ოხერი!“ ეს კაცები როგორც კი იშოვნიან შემთხვევას, ჰცდილობენ კარგათ გაითბონ ხელი, რომ დიდ ხანს გაჰყვესთ სითბო; ვინ იცის, რომ ძნელი ზამთარი

დაუდგესთ, თავი არ გაიცივონ. ამისთანა შემთხვევაა ახლა. უერების გამოუცქვეტლობა უდგილო იქნებოდა ამისანა შემთხვევაში. ეს კაცები ამ წამში რომ, ვსთქვათ, ახალი მაზრის უფროსს მწყემსათ წარმოიდგენენ თავს და კარგს მჭრელ მგრეტელს ამზადებენ რბილ-საბეწვეული ცხვრის საკრეჭავათ, უცებ, მეორე წამში, რაღაც ქაღალდის ნაჭერი გამოჩნდება ხოლმე ერთი, რომელიც ამ წარმოდგენას ოცნებათ უქცევს მათ. ამ წამში რომ წარმოუდგენია კაცს თავის თავი ახალ ქვეყანაში, საცა ის დიდ მიწაწყალს შოულობს და დიდ მემამულეთ ჰხდება, მეორე წამში შავ-ბედითი ქაღალდის ნაგლეჯი გამოუქროლებს მათ გვერდით და გულის - ჩათუთქვით მოაგონებსთ ხოლმე, რომ ჯერ ადრეა წარმოდგენა და ტყვილა პირს ნუ აწლაპუნებენ, მადის ნერწყვს ნუ მოიგვრიან. ვინ იცის რამდენ კაცს უნდა მოემზადოს ხელის გასათბობათ, ზოგს როგორც საზოგადოებრივი წესის დამცველი, ზოგს როგორც მოსამართლე და ზოგს როგორც მასწავლებელი ან სასწავლებელთ უფროსი. სამწუხაროა, რომ ამ კაცებს ახლა ხშირათ გული უტრიალებსთ და ამ აღელვებულ მდგომარეობაში გულ-

დასმით ვერ ემზადებიან, რომ ახალს ქვეყანაში კარგათ გასწმინდონ ადამიანები, გაძრონ ძველი ტყავი და გაჰხადონ ისინიც ისე წმინდებათ, როგორც ჩვენში ჰქნეს, რომ ამისთანა გაწმენდისა და გატყავების შემდეგ ჯეროვანი ერთობა მოჰხთეს ძველ გაწმენდილ-გატყავებულ შუა და ახლათ გაკრეჭილებ შუა. შენ როგორ ჰფიქრობ, ეს აო არის სადარდელი? ეკითხე ჩემს კეთილშობილ ნაცნოსა.

— მართალია, სადარდელია. სწორეთ ეკუთნისთ ამ კაცებს პატივი სიწმინდის მოყვარეობისა და სამწუხარო იქნება, რომ ამისთანა ადამიანები საქმეში არ გამოიყენონ.

ამ დროს შევნიშნე, რომ ბევრი ხალხი მოგროვილიყო ბაღში და, რადგან ჩემი სასურველი სეირნობა აღარ მიხერხდებოდა, გავსწიე სახლისაკენ, ვუთხარი რა ჩემ მობაასეს:

— მშვიდობით, ჩემო კეთილშობილო! ნახვამდის! დარწმუნებული იყავით ჩემს ერთგულებაში კეთილ მობილებისადმი...

მშვილდ-ისრელი

ქუთაისი, 17 მარტს.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით უცხადებს ხარშოვნიკების, ტრაქტირების (პასტა

ალი დვორების) პატრონებს, რომ საშუალი აქციზის შემოტანა ამ ტრაქტირებიდამ 1878 წლისთვის დანიშნულია ამ წლის პირველი ნახევრისათვის—1 აპრილს და წლის მეორე ნახევრისათვის—1 ივლისს ამა 1878 წლისა.

3—3

ქუთაისში ანტონ ლოგოთქფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი ბოგდანოვიჩისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი **საშენებელი ტყე**, ფიჭვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიევის სადგომში, ალსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შეასრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. ფიცრების სატანა ამ წლის, 1 მაისიდამ დაიწყება

თეატრები

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლადმიღებული საბზღვარო გარეთიდამ **ისყიდება** ქავკასიის სამეფონო საზოგადოების კომისიონერთან **ლარშესთან**, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.

(10—8)

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.
გამოცემული ზ ჭიჭინაძესი.
ფასი ოქრი ბაური.

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდა პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, რომ ამ **ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა** და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25—6)

გამოვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ზიმოროვთან, თელავს—ივანე ქუჩმაშვილთან, ქარელს—**დავით ქერეშვილთან**, ხაშურისა და ბიჭათუბნის ბუფეტში, სურამს—ზაქარია ალუწოვთან, ქუთაისს—**იაკობ ოჰანეზოვთან** და სვ. **ცერვაძესთან** ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. **ივ. თაქთაქოვთან**, **საქაშეთს**—თ. **ნიკ. დიასამიძესთან**, **მეჯვრისხევს**—მასწ. **მოსე ნათაძესთან**, **ზორში**—**სტ. ზიმოევთან** და თვითონ **ავტორთან**.

ახალი ტაქსა ბირჭის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ და: ნიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა.

	ფაეტონის		დროჟკის	
ერთი გზა	40	კაპ.	25	კაპ.
საათი	80	„	55	„
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80	„	50	„
— მუშტაიდამდინ . —	60	„	45	„
— მუშტ. და უკან 1/2				
საათი გაჩერება 1 მან.	20	„	90	„
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	—	„	1 მან.	50 „
—დამოქნამდინ— 1 „	50	„	1 „	— „
—ქალაქ. ყველგან 1 „	—	„	— „	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80	„	— „	50 „
— ნავთლუღამდა 1 „	50	„	1 „	— „
რკინის გზამდინ და				
უკან — — —1 „	30	„	— „	90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგვაჭისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამეის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უკირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8		36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ.
ლია წიგნის	4	
დაბეჭდილის (სამი ბისსალი) .	8	

მაზანდა

თფილისი, 15 მარტი.

	მან.	კაპ.
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	60
ფქვილი წითელი . .	1	40
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	20
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	20
—თარაქამისა ფუთ. .	4	30
აბრეშუმი ხუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა .	1	8
სპირტი, გრადუსი .	—	13
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	6	50
ულავა გოგვალი, ბირე. .	—	70
ზეთი ვეზენჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	7	95

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, ზიმამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.

ორ შაბათს: მინკევიჩი—ხირურგი, ლისიცევი—შინაგ. ავთმყ.

სამ შაბათს: ვერმიშევი და მარქროვი—შინაგ. ავთმყოფობის, თამამშევი—თვალის.

ოთხ შაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავთმყოფ, ქიუჩარიანცი—ვენერიულის.

ხუთ შაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგ. ავთმყოფ. და მინკევიჩი—ხირურგ.

შაბათს: ვერმიშევი და მარქროვი—შინაგანი ავთმყოფობის., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავთმყოფ. და თამამშევი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Марта 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს მესხი.